

ადელე ბილლი

**საქართველოში აღმოჩენილი ქრისტემდე VI-I საუკუნეების  
სამარხთა კვლევა**

სტეპების ხალხებთან (მომთაბარეებთან-პ.ბ.) მათი  
განსაკუთრებული მიმართების გათვალისწინებით  
ბონნი, 2003, 269 გვ. 193 ტაბულა

ნაშრომი გამოქვეყნდა ქ. ბონში (გერმანია) და როგორც თავად ავტორმა მოგვანოდა ინფორმაცია, იგი გერმანიის, სახელდობრ საქართველოს არქეოლოგიაში დაცული პირველი დისერტაციის პუბლიკაციას წარმოადგენს. დისერტაცია მომზადდა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პრეისტორიული არქეოლოგიის ინსტიტუტში ცნობილი მეცნიერის პროფ. ბერნჰარდ ჰენზელის ხელმძღვანელობით. იმისა გამო, რომ ჩვენ ჯერ ჯიდევ 1995 წლის შემოდგომიდან საქმის კურსში ვიყავით აღნიშნული თემით დისერტანტის დაინტერესების შესახებ (იმხანად მე DAAD-ის სტიპენდიით მიწვეული ვიყავი ქ. ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლს უნივერსიტეტის წინარე და ძველი ისტორიისა და წინა აზიის არქეოლოგიის ინსტიტუტში პროფ. ჰარალდ ჰაუპტმანის მიერ; ხოლო დისერტანტი მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ, (სადაც ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას), და თანაც მე მეკუთვნის მონოგრაფიის ქართული რეზიუმეს თარგმანი, თავს უფლებას მივცემ, ვისაუბრო გამოქვეყნებული ნაშრომის შესახებ.

სანამ გამოკვლევის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, საჭიროდ მიგვაჩნია მონოგრაფიის დასკვნითი ნაწილის სრულად მოტანა, რათა ჩვენს მკითხველს მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენა შეექმნას ნაშრომში გადმოცემული ავტორისეული დასკვნების შესახებ. ვთვლით, რომ ეს გამართლებულია მონოგრაფის მცირე ტირაჟისა გამოც – დაიბეჭდა სულ 300 ცალი. რის გამოც, ალბათ, მონოგრაფია ხელმიუწვდომელი დარჩება ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის.

**Zusammenfassung in georgischer Sprache**

მოცემული ნაშრომი შეეხება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ქრისტემდე VI-I საუკუნეების სამარხებს და დაკრძალვის წესს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაწილი ამ სამარხებისა უნდა უკავშირდებოდეს კავკასიაში შემოჭრილ ევრაზიელ მომთაბარეებს. წერლობითი წყაროების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ნუმიზმატიკური მასალების და განსაკუთრებით ქრისტემ-

დე I ათასწლეულის II ნახევრის არქეოლოგიური მასალების შენახვის შემდეგ შესაძლებელი გახადა შემდეგი დასკვნების გაკეთება:

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ურარტული კულხა ყოველთვის გაიგივებულია ხოლმე დღევანდელ საქართველოსთან, რასაც, ჩვენის აზრით, ვერ გავიზიარებთ. ის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კოლხეთი, ბერძნულ წყაროებში, ყოველთვის დასავლეთ საქართველოს უკავშირდება, მხოლოდ ნაწილობრივ არის გასაზიარებელი. იმდენად, რამდენადაც ბერძნული კოლხეთის პირვანდელი მნიშვნელობა მოიცავს არა მხოლოდ ურარტული კულხას, არამედ ზოგადად შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპირო ტერიტორიას; კერძოდ კი, რეგიონს დღევანდელი თურქეთის სინოპსა და ტრაპიზონს შორის.

ბერძნული კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე კოლხეთის ცნების გაგებაც, რამდენადაც უკვე ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ მდინარე ფაზისი (რიონი) წარმოადგენს კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვარს; ხოლო ქრისტემდე I საუკუნეში სტრაბონის მიხედვით კოლხეთი წარმოადგენდა კრებით სახელს მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთისას – სამხრეთით ტრაპიზონიდან ჩრდილოეთით ბიჭვინთამდე. ქართველ არქეოლოგთა მიერ მიჩნეული აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოს კოლხეთი ყოველთვის აღნიშნავდა ეთნოსს, ბერძნული წყაროებში სიტყვა „კოლხეთი“ გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარება. აღმოსავლეთ საქართველო (იბერია) ბერძნულ წყაროებში პირველად გვხვდება სტრაბონთან ქრისტემდე I საუკუნეში.

კოლხეთის სამეფოს არსებობა, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც ფაქტი, წყაროებით არ დასტურდება; კოლხეთი სამეფოდ მოიხსენიება მხოლოდ არგონავტების ეპოსში. მისგან განსხვავებით, სტრაბონი იუწყება რომ, კოლხეთი დაყოფილი ყოფილა სკეპტუხიებად; სოციალურ ერთეულებად, რომელთაც იგი სარმატთა არისტოკრატის აღწერის დროსაც ახსენებს. რაც შეეხება სამეფო დინასტიას, ის მას მხოლოდ იბერის აღწერისას მოხსენიებს.

ვერცხლის მონეტები, ეგრეთ წოდებული „კოლხური თეთრი“, რომელიც ქართველ არქეოლოგთა მიერ კოლხეთის სამეფოს არსებობის დამადასტურებელ ფაქტად მოიაზრება, სამწუხაროდ ჯეროვნად არ არის შესწავლილი. გამომდინარე აქედან, ეს მონეტები ამ მხარეში სახელმწიფოებრივი წყობის არსებობის უდაო მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მონეტები საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს არსებულ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებშიც კი იყოს მოჭრილი. ყოველ

შემთხვევაში, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ჯერჯერობით არაფერი მეტყველებს.

ეპიგრაფიკული მონაცემები არ შეიცავენ არავითარ მინიშნებას ამ პერიოდში აქ სამეფოს არსებობაზე და მეტყველებენ მხოლოდ იმაზე, თუ რაოდენ ძლიერ ბერძნულ გავლენას განიცდიდა შავი-ზღვისპირეთი და რიონის ველი ამ დროს. ცნობილია ისიც, რომ მდინარე ფზისის მიმდებარე ტერიტორიაზე ქრისტემდე V საუკუნიდან იჭრებიან სკვითები. ამასთანავე, გოგარენეს, საკასენეს და თრიალეთის დასახელებები, რომელთა შესახებაც წერილობითი წყაროები მიგვანიშნებენ და რომლებიც ლოკალიზირდებიან დღევანდელ სამხრეთ საქართველოში (თრიალეთი) ან მტკვრის სამხრეთით (გოგარენე, საკასენე), შესაძლოა ევრაზიელ მომთაბარეებს უკავშირდებოდეს.

არქეოლოგიური წყაროები — კონკრეტულ შემთხვევაში სამარხები — ადასტურებენ რთულ სურათს: ქრისტემდე I ათასწლეულის მეორე ნახევარში, დღევანდელ საქართველოში, პარალელურად თანაარსებობდნენ კრემაციული და ინჰუმაციური სამარხები ურნა/ქვევრების, ჩაჭრილი ორმოების და ქვაყუთების სახით (რუკა 2-4). გამოქვეყნებული მასალების მიხედვით კრემაციული სამარხები კონცენტრირდებიან თითქმის მხოლოდ აფხაზეთში, მამინ როცა ქვევრსამარხები ძირითადად გვხვდება მდ. რიონის ველზე და ცენტრალურ საქართველოში; ქვაყუთები კი ცენტრალურ და სამხრეთ რეგიონებშია ძირითადად თავმოყრილი. რაც შეეხება ჩაჭრილ სამარხებს, ისინი მოფენილი არიან თითქმის მთელს განსახილველ ტერიტორიაზე. ამასთანავე, ქვევრსამარხები (ინჰუმაციური) და კრემაციული სამარხები გვხვდება ერთსა და იმავე სამაროვანზე ჩაჭრილ სამარხებთან და ქვაყუთებთან ერთად; ხანდახან ისინი გვხვდებიან სამაროვნის განაპირა ნაწილში. სამწუხაროდ, კრემაციულ სამარხებზე ჩვენ მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება, მაგრამ ერთერთი ასეთი გამოქვეყნებული სამარხი აძიუბუყადან მეტად საინტერესოა ინვენტარის მხრივ; განსაკუთრებით აღსანიშნავია იქ ნაპოვნი ცხენის მუზარადი. ქვევრსამარხებზე ასევე არასაკმარის დონეზეა შესწავლილი. თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ მდიდრული ინვენტარი აღინიშნება არა მხოლოდ ჩაჭრილ ორმოებსა და ქვაყუთებში, არამედ კრემაციულ და ქვევრ-სამარხებშიც. მაგრამ, თუკი კრემაციულ მდიდრულ სამარხებში (მამაკაცთა სამარხებში) გვხვდება იარაღი და ცხენის მოსართავები, მდიდრულ ქვევრსამარხებში, რომელთა უმეტესობასაც ბავშვთა და მოზარდთა სამარხები შეადგენენ, გვხვდება მხოლოდ სამკაულები. გამონაკლისია მხოლოდ სამარხი №2 ვანიდან (მეორადი დაკრძალვა) სადაც

დაკრძალული იყო ზრდასრული ინდივიდუმი და ინვანტარი შეადგებოდა ლითონის ჭურჭლისგან.

მოცემულ ნაშრომში ძირითადი ყურადღება დაეთმო მიცვალებულთა ჩონჩხების მდებარეობას ჩაშვებულ სამარხებსა და ქვაყუთებში. გამოიკვია, რომ არსებობს სამაროვნები, რომლებიც შედგება ან მხოლოდ ჩაშვებული სამარხებისგან, ან მხოლოდ ქვაყუთებისგან. არსებობს სამაროვნებიც, რომლებზეც წარმოდგენილია ჩაშვებული სამარხებიც და ქვაყუთებიც შერეულად. ამასთანავე, ჩაშვებული სამარხებისგან შემდგარი სამაროვნები ძირითადად გვხვდება დასავლეთ და ცენტრალური საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ როცა სამხრეთ საქართველოში გვხვდება ან მხოლოდ ქვაყუთებიანი ან შერეული (მცირე რაოდენობით ჩაშვებულ სამარხებიანი) სამაროვნები. დღეისთვის გამოქვეყნებული სამაროვნები შესაძლოა დაიყოს ორ ტიპად:

A ტიპის სამაროვნები (სულ 12, რომლებზეც შესწავლილია 100-ზე მეტი სამარხი) შეიცავენ მცირე ზომის ქვაყუთებს და ჩაშვებულ სამარხებს. ანალიზისათვის შეირჩა მხოლოდ ის სამაროვნები, რომლებიდანაც გამოქვეყნებულია არანაკლებ ხუთი სამარხისა. ამ ტიპის სამაროვნები შესაძლოა დაიყოს ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფის ყველა სამარხი შეიცავდა უბრალო ინვენტარს, ხოლო მეორეში ერთი სამარხი გამოირჩეოდა შედარებით მდიდარი ინვენტარით, მაშინ როცა იგი არ გამოირჩეოდა სხვა დანარჩენი სამარხებისგან არც ზომით, არც კონსტრუქციით და არც სხვა რაიმე თავისებურებით. მიცვალებულები დასვენებული იყო ან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ინვენტარი სიმდიდრით არ გამოირჩეოდა. სამარხთა ორიენტირება სხვადასხვაგვარია: აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ჩრდილო-დასავლეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ამ სამარხთა შესწავლის დროს გაგვიჩნდა შეკითხვა — ნამდვილად იკრძალებოდნენ ქალები მარცხენა და კაცები მარჯვენა გვერდზე თუ არა? ისე, როგორც ამას ხშირად ვხვდებით ხოლმე ქართველ არქეოლოგთა შრომებში. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ანთროპოლოგიური ანალიზი სამარხთა შესწავლისას ტარდებოდა ერთობ იშვიათად. გამოთქმული ვარაუდი არ დასტურდება მაშინაც, თუკი სამკაულს მხოლოდ ქალის და იარაღს მხოლოდ მამაკაცის დამახასიათებელ ინვანტარად მივიჩნევთ.

რაც შეეხება კოლექტიურ სამარხებს, აქ ადრე დაკრძალულთა ჩონჩხებს განზე გადასწევდნენ და ამგვარად ცენტრში გამოთავისუფლებილ ადგილზე ახალ მიცვალებულს დაკრძალავდნენ ხოლმე. ცხოველთა ჩონჩხები აქ ხშირად არ გვხვდება. არა მხოლოდ სამარხის კონსტრუქცია, არამედ ჩონჩხების მოხრილობა და კოლექ-

ტიური სამარხები, რომელთაც კავკასიაში დიდი ხნის ტრადიცია აქვთ, მეტყველებენ, რომ ეს სამარხები ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნის.

**B** ტიპის სამაროვნები შედგებიან მცირე ზომის სამარხებისგან, რომელთა შორისაცაა რამდენიმე დიდი ზომის სამარხი, გამორჩეული გარკვეული თვისებებით. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს თანმხვდევი ცხენის სამარხები, რითაც გაპირობებული უნდა ყოფილიყო ამ სამარხთა დიდი ზომები. შემდეგ მოდის ხის კონსტრუქცია, თანმხვდევი ადამიანთა სამარხები (დამოკიდებულ ადამიანთა სამარხები) და მდიდრული ინვენტარი. დასახელებული ხუთი ნიშნით (დიდი ზომა, ცხენის ჩონჩხი, ხის კონსტრუქცია, თანმხვდევი სამარხები, მდიდრული ინვენტარი) გამორჩეული სამარხები ჩვეულებრივ უბრალო (ხის კონსტრუქციების გარეშე, მცირე ზომისანი, ღარიბული ინვენტარით) სამარხებისგან შემდგარი სამაროვნის ცენტრში არიან ხოლმე განლაგებულნი. ალბათ ამის გამოა, რომ ამგვარ „პერიფერიული“ სამარხებს იშვიათად თუ ვხვდებით პუბლიკაციებში და თუკი მოიხსენიებენ მათ, ისიც მხოლოდ მოკლედ და გაკერით. ისე, როგორც მაგალითად დაბლაგომსა ან ითხვისზე. მხოლოდ აბანოზე და შავსაყდარა II გამოვლენილ მდიდრულ სამარხებთან ერთად არის გამოქვეყნებული ხუთი „პერიფერიული“ სამარხიც. ამ ორ სამაროვანზე „პერიფერიულ“ სამარხთა ორიენტირება ემთხვევა მდიდრულ სამარხთა ორიენტირებას.

ჩვენს ნაშრომში **B** ტიპის სამაროვნებს დავუთმეთ განსაკუთრებული ყურადღება. მათი ანაღზისას, ამასთანავე გავითვალისწინეთ არა მხოლოდ დასაკრძალავი ორმოების ზომები, ხის კონსტრუქცია და მდიდრული ინვენტარი, არამედ ჩონჩხის მდებარეობა და ასევე, „დამოკიდებულ ადამიანთა“ თანმხვდევი სამარხებიც.

კონსტრუქციული ნიშნებით სამარხები დაიყო ქვის ან ხის კონსტრუქციების გარეშე სამარხებად (I ჯგუფი), მხოლოდ ხის კონსტრუქციებიან სამარხებად (II ჯგუფი) და ხის ან ქვის კონსტრუქციებიან სამარხებად (III ჯგუფი). ამასთანავე დადგინდა, რომ ამ ჯგუფებში სჭარბობდა სამარხთა დამხრობა სამხრეთ-დასავლეთისკენ; თუმცა გვხვდებოდა გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალულ მიცვალებულთა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დამხრობილი სამარხებიც.

შემდეგ გამოვიკვლიეთ დაკრძალვის წესი. ნახევარზე მეტ შემთხვევაში ამ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი არიან გაშოტილ მდგომარეობაში — იმ პოზაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ქრისტიმდე VI საუკუნიდან გვხვდება; თანმხვდევი პირთა და ცხენთა სამარხებიც უცხოა ამ მხარისათვის. სამარხები გაჭრილია ან ერთი მიცვალებულისათვის ან თანმხვდევი

ერთი ან რამდენიმე „დამოკიდებული“ პირის სამარხთან ერთად. A ტიპის უბრალო სამროვნებზე არსებულ კოლექტიურ სამარხებთან შედარებით, ეს სამარხები თანადროულია მთავარი სამარხისა და წარმოდგენენ შედარებით დაბალი სტატუსის ადამიანების სამარხებს, რომლებიც მოაკვდინეს სოციალურ კიბეზე მათთან შედარებით მაღლა მდგომი პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს სამარხები, ისევე როგორც ცხენთა სამარხები, სტრატეგრაფიულად უფრე მაღალ დონეზე ფიქსირდება ვიდრე მთავარი სამარხი.

49 სამარხიდან 29-ს ახლდა ცხენის სამარხი. რიგ შემთხვევაში ადამიანი და ცხენი თავსდებოდა ერთ დასაკრძალავ ორმოში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანისა და ცხენის სამარხი ერთიმეორისგან კედლით იყო გამიჯნული. ცხენი თითქმის ყოველთვის ჩასვენებული იყო მთავარი სამარხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ექვს სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ ცხენის მოსართავები, 14 სამარხში არ იყო არც ცხენის სამარხი და არც ცხენის მოსართავი. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ ცალკეულ პუბლიკაციებში ცხენის მოსართავი საერთოდ არ იხსენიება, თუმცა ფიქსირდება ცხენის სამარხი, როგორიცაა, მაგალითად, № 12 სამარხი ვანიდან.

ზოგიერთი სამარხის პუბლიკაციაში არის მინიშნება იმაზე, რომ ცეცხლს ენიჭებოდა გარკვეული მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, საირხის № 5 და № 8 სამარხებზე, სამხრეთ კამერებში, სადაც მდებარეობდა მთავარი სამარხები, ნაპოვნი იქნა ცეცხლის კვალი. იგივე შეინიშნებოდა ვანის № 15 და № 18 სამარხებზე. ცნობილია, რომ სკვითებში ცეცხლი დაკრძალვის რიტუალის შემადგენელი ელემენტი იყო; მათთან ფართოდ იყო გავრცელებული ხის გადახურვის დანვა. იმ პერიოდის საქართველოსთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესისათვის კიდევ ერთი განმასხვავებელი ელემენტი დადასტურდა ვანის №4 სამარხზე: აქ გოგონას ჩონჩხის ქვემოთ დაფიქსირდა მონითალო-მოყავისფრო ოქრის(?) ლაქა. ეს შესაძლოა მომთაბარეთა სამყაროთან კავშირებზე მეტყველებდეს, მათთან ხომ ოქრა ფართოდ გამოიყენებოდა დაკრძალვის რიტუალში.

ინვენტარის გამოკვლევამ დადასტურა ჩვენს მიერ სამარხთა ორ ტიპად დაყოფა. ანთროპოლოგიური ანალიზის თითქმის არარსებობის გამო, მამაკაცთა და ქალთა სამარხების გამოყოფა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ტრადიციული მეთოდით — როცა იარაღი მიჩნეულია მამაკაცის, ხოლო სამკაული ქალის არტრიბუტად. მაგრამ ეს მეთოდი მხოლოდ გამოსადეგია A ტიპის სამარხებზე მსჯელობისას, რამდენადაც B ტიპის სამარხების მდიდრულ

სამარხებში მოცემული დაყოფა არც ისე მკვეთრია, რაზეც კარგად მიგვანიშნებს ქობულეთის № 15 სამარხი. იარაღის აღმოჩენა ისეთ სამარხებში, რომლებიც, როგორც წესი, ქალთა ატრიბუტებით ხასიათდება, დამახასიათებელია ევრაზიის მომთაბარეთათვის. A ტიპის სამაროვნის სამარხთა ინვენტარი, როგორც წესი, შედგება სამკაულებისგან (სამაჯურები, სამაგრები, მძივები). თუკი მასში შედის საბრძოლო ან შრომის იარაღი, მაშინ ის არის კავკასიური ტიპის დანა ან შუბისპირი. სამარხები რამდენიმე სახეობის იარაღით, მაგ. სამარხი № 24 კამარახვიდან, გამოწკლის წარმოადგენენ. A ტიპის სამაროვნის სამარხთა ინვენტარი შეესატყვისება, ძირითადად, კავკასიურ ტრადიციას, ე.ი. ცალკეული ფორმები ტიპოლოგიულად შესაძლოა მომდინარეობდეს საქართველოსა და კავკასიის წინა პერიოდების კულტურებიდან.

ამის საპირისპიროდ B ტიპის სამაროვნთა ინვენტარს ამ რეგიონში არ გააჩნია წინარე ტრადიცია. მათი ანალოგიები შესაძლოა დაიძებნოს ბერძნულ, მცირეაზიურ ან აქემენიდურ სამყაროში; მაგრამ ისინი არა მხოლოდ ცალკეული ნივთების, არამედ საინვენტარო ანსამბლის შედგენილობის მხრივ კიდევ უფრო ახლო დგანან ყუბანისპირეთის, კავკასიის ჩრდილო მთისწინეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის მეოტიურ და სკვითურ სამარხებთან. ეს მსგავსებები კიდევ უფრო ნათლად ვლინდება სამარხთა კონსტრუქციებსა და დაკრძალვის რიტუალში.

A ტიპის სამაროვნებთან შედარებით, რომელთა შორისაც ბევრი ფუნქციონირებდა განსახილველ პერიოდთან შედარებით უფრო მეტი ხნის მანძლზე (მაგ. კავთისხევის სამაროვანზე მიცვალებულებს მარხავდნენ ქრისტემდე XIII – I საუკუნეების მანძილზე), B ტიპის სამაროვნები ფუნქციონირებდნენ შედარებით მცირე ხნის განმავლობაში. მათი არსებობა წყდება ქრისტემდე II საუკუნის დასაწყისისთვის. ყველაზე ადრეული მსგავსი სამაროვნები ჩნდება ქრისტემდე 7-6 საუკუნეებში აფხაზეთში (ყულანურხვა, წითელი შუქურა „კრასნი მაიაკ“), მთიანეთში (ღები/ბრილი, თლი) და ცენტრალურ საქართველოში (დვანი, სამთავრო). მაგრამ მათზე მდიდრულ სამარხთა უმრალესობა განეკუთვნება ქრისტემდე 5-3 საუკუნის დასაწყისს. ანალოგიური სურათი შეინიშნება ჩრდილო კავკასიაშიც, სადაც ქრისტემდე III დასაწყისში არსებობას წყვეტს ბევრი ყორღანული ნეკროპოლი და იწყება თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობები (სარმატული საფრთხის გამო?).

ზოგიერთი სამაროვნის განლაგებაში საინტერესო კანონზომიერებანი შეინიშნება: სამ ადგილას გვხვდება ორ-ორი თანადროული სამაროვანი, რომლებიც ერთიმეორესგან მცირე მანძილით არი-

ან დაშორებულნი და რომლებიც გამოირჩევიან იმით, რომ ერთ-ერთ მათგანზე არის ცხენიანი სამარხი, ხოლო მეორეზე არა. ამგვარი სიტუაცია შეინიშნება კლივანა A-B-ზე, შავსაყდარა I-II-ზე და ვარსიძანთკარი/ბაზალეთზე. იმისა გამო, რომ ეს სამაროვნები ჯერ არაა სრულყოფილად გამოქვეყნებული, რთულია საბოლოო დასკვნების გაკეთება. ეს სამაროვნები კონცენტრირებულია ცენტრალურ ან სამხრეთ საქართველოში, ასე რომ ვთქვათ, ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთისკენ მიმავალ გზაზე, სადაც ადრე აღმოჩნდა სკვითური მასალები (როგორც მაგალითად დვანში, სამთავროზე ან თლიში). ცენტრალური სამარხები 7-6 საუკუნეებში სკვითური ინვენტარით და ცხენის სამარხებით უფრო ღარიბულია გვიანი პერიოდის სამარხებთან შედარებით; მხოლოდ ქრისტემდე 5 საუკუნიდან უფრო გამოხატული ხდება განსხვავება მდიდრულ და ღარიბულ სამარხებს შორის.

B ტიპის სამაროვნები მკვეთრად განსხვავდებიან A ტიპის სამაროვნებისგან. კონსტრუქციისა და ინვენტარის შედგენილობის მხრივ ძნელია მათ დაეძებნოს ადგილობრივი ფესვები. დიდი ხანი იყო გავრცელებული ჰიპოთეზა, რომ ეს სამარხები ადგილობრივ დიდგვაროვანთა საფლავებია. ახლა უკვე თანდათანობით მკვიდრდება აზრი, რომ შესაძლოა ეს საფლავები მოსულთა საკუთრება იყოს, თუმცა ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მათ უკავშირებს მხოლოდ აქემენიდ და პოსტაქემენიდ სატრაპეთა სახელებს; თუმცა, ანალოგიური სამარხები ჯერჯერობით თვით ირანის ტერიტორიაზეც კი არაა აღმოჩენილი. ამასთან დაკავშირებით ისმება შეკითხვები: თუკი ეს სატრაპეთა სამარხებია, რატომაა ისინი მოწყობილი ევრაზიელ მომთაბარეთა ყაიდაზე? რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მოცემული სამარხები გვხვდება გადასასვლელზე ან კავკასიის ნიშნის დამაკავშირებელ გზებზე? იქნებ ყუბანისპირეთის, ჩრდილო კავკასიის მთისწინეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის ანალოგიური სამარხებიც სატრაპების კუთვნილებათ?

კავკასიისა და საქართველოს შესახებ არსებულ უახლეს არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ინტენსიურად შეისწავლება აქამენიდური მასალები და გავლენები. ყოველივე ამას უეჭველად ჰქონდა აქ ადგილი ამ პერიოდში, მაგრამ ო. ლრთქიფანიძე დასაბუთებულად გვახსენებს იმასაც, რომ ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება არცერთი არქეოლოგიური მტკიცებულება ამ პერიოდის საქართველოში აქემენიდთა ყოფნისა და მითუმეტეს აქ მათი მბრძანებლობისა.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აღმოჩენილი სამაროვნები ეკუთვნოდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახ-



ლეობას, არამედ აქ გადმოსახლებულ უცხოტომელებსაც. ადგილობრივთა საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს A ტიპის სამაროვნები, მაშინ როცა B ტიპის სამაროვნები შეიძლება დაფუკავშიროთ ევრაზიელ მომთაბარეთა მიგრაციასა და გავლენას ამ მხარეში. ამ ტიპის სამაროვნებზე წარმოდგენილია არა მხოლოდ „სკვითური ტრიადა“ ე.ი. ტიპიური იარაღი, ცხენის აღკაზმულობა და ცხოველური სტილის ნაკეთობანი, არამედ ნათელია სტეპური ზოლის ანალოგიებისადმი მათი მსგავსება მთელი რიგი თავისებურებებისა და მიხედვით – იქნება ეს დაკრძალვის რიტუალი თუ სამარხის კონსტრუქცია; ამით დასტურდება კიდევ მათი კუთვნილება ევრაზიელ ნომადებისადმი. უკანასკნელნი არც თუ ისე უნმიშვნელო როლს ასრულებდნენ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტემდე I ათასწლეულის II ნახევარში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში.

ცნობილია, რომ მომთაბარეთა საზოგადოებებში ყოველთვის შეინიშნება მათი ერთი ნაწილის მიდრეკილება დამჯდარი ცხოვრების წესისკენ. ალბათ, ამდაგვარი რალაც მოხდა სკვითებშიც მათი მიგრაციის დროს მცირე აზიისკენ. ამასთანავე ისინი დასახლდნენ ხელსაყრელ ადგილებში, რათა ეკონტროლებინათ სავაჭრო გზები. შესაძლოა ეს ხდებოდა ისევე, როგორც შუა საუკუნეებში დიდი აბრეშუმის გზის გასწვრივ, სადაც ვაჭრები იხდიდნენ გადასახადს მგზავრობის უსაფრთხოებისთვის. საკვლევ რეგიონში ამაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ საქართველოში აღმოჩნდა სკვითური ქვის სტელები, რაც აქ სკვითების საზოგადოებრივი და რელიგიური არსებობის დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

უკვე ქრისტემდე I ათასწლეულის დასაწყისიდან წინა აზიაში ჩნდება განსხვავებული სამარხები და სამაროვნები, რომლებიც გამოირჩევა არა მხოლოდ კონსტრუქციით, არამედ ინვენტარითა და დაკრძალვის რიტუალით; მაგ. ჰასანლუ, დებე ჭუიქი, პერსეპოლისი და სხვ. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის არის მინიშნება ამ სამარხების განსხვავებულობაზე, მაგრამ მათი თავისებურებების ახსნა ჯერ კიდევ ძნელია. სავარაუდოა, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ევრაზიელ მესაქონლე-ნომადებთან, რომლებიც დაახლოებით ამ დროს ჩნდება წინა აზიაში და არსებობს აქ ქიქისარის მიერ მათ „განადგურებამდე“. ამის შემდეგ მომთაბარეთა ცალკეული ჯგუფები განსახლდნენ მათთვის უკვე ნაცნობ ტერიტორიებზე, რომელთა რიცხვს სამხრეთ კავკასიაც განეკუთვნებოდა. ალბათ, სკვითებში V საუკუნიდან დაიწყო დაყოფა აქტიურ მეომართა (ბელადები და მისი თანარაზმელები) და მოსახლე ან ნახევრად-

მოსახლე რეზერვისტთა ჯგუფებად. ელინისტურ სახელმწიფოთა დაშლის შემდგომ, ერთის მხრივ რომაელთა და მეორეს მხრივ მომთაბარეთა მეორე ტალღის (ჯერ სარმატები და შემდგომ ალანები) გამოჩენით, სრულდება მათი აქტივობა ამ რეგიონში და ამის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბებულიყო კიდევ პირველი ქართული სამეფო – ქართლის სამეფო. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მეისსენ-რის გამოკვლევებიც, რომელიც იბერიის სამეფოს ჩამოყალიბებას ქრისტემდე II საუკუნის დასასრულიდან ვარაუდობს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველო შავი ზღვის ნაპირებზე ჩამოყალიბებულ იმ ბერძნულ-სკვითური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც განსაკუთრებულად განვითარდა სწორედ ევრაზიელი მომთაბარეების ძლიერი ზეგავლენის გამო. აქ ჩნდება (განსაკუთრებით ქრისტემდე IV საუკუნიდან) მდიდრული ყორღანული სამარხები, რომელთაგანაც ზოგიერთი, მაგ. ვანი და საირხე, ერთ რიგში დგას კურჯიპსკის, ულიაპსკის და სხვ. ყორღანებთან, რომლებთანაც მათ ეძებნება ყველაზე მეტი ანალოგიები. ამ პერიოდის სხვა არქეოლოგიური მასალებიც, მაგალითად კერამიკა ან მონეტები, მეტყველებს მეტად ახლო კავშირებზე ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის. ამიტომ, განსახილველ პერიოდში, საქართველოში განვითარების დონე არაფრით არ განსხვავდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთის რეგიონებისგან. აქაც მიმდინარეობდა მსგავსი პროცესები, რომელთა ანაღვის დროსაც არ უნდა იქნას იგნორირებული ევრაზიის სტეპების მომთაბარეთა როლი.

\*

\* \*

მკთხველს რომ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნას აღნიშნულ ნაშრომთან დაკავშირებით, დამატებით რამდენიმე ინფორმაციას მივანვდი. კერძოდ კი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის წინარე და ძველი ისტორიისა და წინა აზიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მუშაობისას თვალში მეცა ქ. ორჯონიკიძეში (დღ. ვლადიკავკაზში) 1988-90 წლებში გამოცემულ წიგნების სიმრავლე. როცა გავიკითხე, ეს წიგნები აღმოჩნდა წარმოშობით გერმანელი და დაბადება-აღზრდით ორჯონიკიძელი მეცნიერის, დრ. ანატოლი ნაგლერის მიერ ჩამოტანილი. ეს მეცნიერი, როგორც წარმოშობით გერმანელი გადმოსახლდა ქ. ჰაიდელბერგში „პერე-

სტროიკის“ პერიოდში და მუშაობა დაიწყო იმ ინსტიტუტში, სადაც მუშაობს თავად მოცემული ნაშრომის ავტორი – ადელე ბილი; ისინი, ასევე ერთად, როგორც რუსულის მცოდნენი მონაწილეობას ღებულობდნენ გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის (DAI – დირექტორი პროფ. ჰერმან ფარცინგერი) ციმბირის არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

მეც, პირადად, 1995 წელს, ჰაიდელბერგში ყოფნის დროს მქონდა საუბარი ამ მეცნიერთან და როდესაც დრ. ნაგლერმა განავითარა აზრი, რომ მნიშვნელოვანი წილი ქართული კულტურისა, და უფრო სწორად, ყველაფერი თითქმის, რასაც ჩვენ ქართულს ვეძახით, ან ბიზანტიურია (ქართული საგლობლები ბერძნული საეკლესიო ქორალების გადამღერება\*), ან ბერძნული, ან რომაული, ან სარმატულ-სკვითური (საურმაგი – იგივე სარმატია, ფარნავაზი – ირანელია და ა.შ) და უფრო ადრე (შუა ბრინჯაოს ხანაში) ან ინდოევროპული. რა თქმა უნდა ჩვენ მას შევეწინააღმდეგეთ არგუმენტირებულად და განვუცხადეთ, რომ არ ვუარყოფთ ქართველურ სამყაროში უცხო ელემენტების შემოჭრის ალბათობასა და ფაქტებს (ისევე როგორც ეს ხდება ნებისმიერ ჩამოყალიბებულ კულტურულ ერთობაში), მაგრამ შემოჭრა ხდება იქ, სადაც არის თვისობრივად არსებული ერთობა და კულტურული გარემო (ე.ი. მდგრადი თვისობრივობა – იგივე ერთგვარი **დვრიტა**). შესაძლოა, შემოიჭრა ბევრი რამ ამ ერთობაში, მაგრამ დამხვდურ თვისობობას შესწავდა უნარი მიეღო ინვაზირებული ელემენტები და შემდგომი ფილტრაციის შედეგად თავისეულად ექცია ისინი. ამის ნათელი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების ისტორიიდან. სამწუხაროდ, ამის შემდეგ აღარ მომწევია შევხვედრა ამ მეცნიერთან.

სამაგიეროდ, ხშირად ვხვდებოდი დრ. ადელე ბილს და ვსაუბრობდით მასთან დისერტაციის გარშემო. იგი ორჯერ სტუმრობდა კიდეც საქართველოში და მაქსიმალურად ვცდილობდით შეგვეწყო მისთვის ხელი სამეცნიერო მუშაობაში. საქართველოს სახელმწიფო და ხელოვნების მუზეუმებში, ჟინვალის ექსპედიციის ბაზაზე დუშეთში, ვანის მუზეუმში, ქუთაისში, მონახულა მისთვის საინტერესო მასალები, ესაუბრა ქართველ კოლეგებს და საბოლოოდ გამოაქვეყნა ნაშრომი იმ დასკვნებით, რომელის თარგმანიც უკვე წარმოვადგინეთ. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ის, რომ ჩემეულ

\*ამ აზრის აბსურდულობის დამდასტურებლად თუნდაც გურული პოლიოფონიური სიმღერებიც კმარა.

თარგმანში მაქსიმალურად შევეცადე (შეძლების ფარგლებში) არ შემერბილებინა მისი კრიტიკული დამოკიდებულება ქართველი ავტორების ნაშრომებზე. ამით მსურდა, რომ ერთგვარი „პროვოცირებაც“ კი გამომენვია ამ პერიოდის შესწავლით დაინტერესებულ ქართველ არქეოლოგებში, რათა მათ საკადრისად არგუმენტირებული პასუხები გასცენ გერმანელ კოლეგას.

ვფიქრობ, მკითხველისათვის აუცილებელია ავტორის იმ გულისტკივილის გაცნობა, რომელსაც იგი ხშირად მიზიარებდა თავის ნაშრომზე მუშაობისას. მაგალითად, იგი დიდ წუხილს გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ ნანახი ბევრი სამარხი ქართველი კოლეგების მიერ გამოქვეყნებულია არასრულად, არასწორადაა ფიქსირებული სამარხეული ინვენტარი, სამაროვნების სტრატиграფია არაა სათანადოდ ნაჩვენები, ხშირად ბევრი ნივთის შესახებ არსებობს მხოლოდ ზეპირი ინფორმაცია, ხოლო დოკუმენტაციში ისინი არ არის მითითებული...

ახლა, როდესაც დამოუკიდებლობის გზაზე გასული საქართველო თანდათან ცდილობს მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში ჯეროვნად დამკვიდრებას, ბევრი რამის გათვალისწინება გვმართებს. კონკრეტულ შემთხვევაში კი ქართული არქეოლოგია უნდა გაუთანაბრდეს მსოფლიოში არსებულ სტანდარტებს. მხედველობაში გვაქვს ძეგლის გათხრა-ფიქსაცია, ინვენტარისა და კრანოლოგიური მასალის ჯეროვანი ფიქსაცია-აღწერა და შემდგომ გამოცემა. არადა, სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში (განსაკუთრებით 70-იანი წლების შუა ხანებიდან, როდესაც აშკარა გახდა საბჭოთა სისტემის კრიზისი), მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა (რაც ოდენ ქართველ არქეოლოგთა ბუნებრივი ნიჭისა და დაუღალავი შრომის შედეგი იყო), ქართული არქეოლოგია აშკარად ჩამორჩა არა მარტო მსოფლიო, არამედ შიდასახელმწიფო სტანდარტებს ძეგლების ფიქსაციის, გათხრის, აღწერის და პუბლიკაციის მხრივ. დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ ამის მიზეზი პირველ რიგში საბჭოური შრომის ორგანიზაციის არასრულფასოვნება იყო. სამწუხაროდ, ჩვენთან, გამომდინარე იქიდან, რომ გათიშული იყო ერთიმეორისგან სამეცნიერო და საუნივერსიტეტო-პედაგოგიური სფეროები (ცალკე არსებობდა მეცნიერებათა აკადემია და ცალკე უნივერსიტეტები; უცხოეთში კი, კერძოდ გერმანიაში, განვითარებული საუნივერსიტეტო სისტემაა, სადაც შერწყმულია სამეცნიერო, პედაგოგიური და საწარმოო სფეროები), საერთოდ არ ხდებოდა პრობლემური არქეოლოგიის განვითარება. ე.ი. ჩვენში ძირითადად ესა თუ ის ძეგლი შეისწავლებოდა იმისა გამო კი არა, რომ

ეს სჭირდებოდა რაიმე აქტუალური საისტორიო საკითხის შენაველას, თუნდაც მაგ. შუა ბრინჯაოს ხანის პრობლემებისას\*, არამედ იმის მიხედვით თუ სად მოიძებნებოდა ამა თუ იმ არქეოლოგიური ძეგლის შესასწავლი თანხები – საქწყალმშენში, საქნავთობში, გზათა სამინისტროში თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროში... შექმნილ სიტუაციას კი მოსდევდა ის, რომ მოკლე ვადებში, შეზღუდული ფინანსების პირობებში\*\* უნდა მომხდარიყო ძეგლის გათხრას შესწავლა. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც გვერდიგვერდ არსებული სამაროვანიდან და ნამოსახლარიდან მხოლოდ ერთერთი თუ შეისწავლებოდა ისიც ნაწილობრივ, რადგანაც მთავრობიდან ფინანსდებოდა მხოლოდ ის. ყოველივე ეს და კიდევ მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი უარყოფითად აისახებოდა არქეოლოგიური მეცნიერების დონეზე. საბოლოოდ კი მიუხედავად დეკლარებული მიღწევებისა\*\*\* თავი იჩინა ხარისხობრივმა კრიზისმა, რამაც შექმნილ სიტუაციამდე მიგვიყვანა. ახლა კი როდესაც საქმეს საქმეზე მიდგა და უცხოელი კოლეგები ნელ-ნელა დაინტერესდნენ ჩვენი რეგიონით და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მიუდგენენ ჩვენს მასალებს, დააფიქსირეს შექმნილი საჩოთირო სიტუაცია. ამდენად, ბევრი რამ, რამაც განაპირობა მათი არასწორი დასკვნები, დიდწილად შედეგია ჩვენში შექმნილი იმ არასახარბიელო სიტუაციისა, რომლის გამოსწორებაც ყოველი მამულიშვილი\*\*\*\* მეცნიერის ვალია.

ახლა რაც შეეხება ჩვენს ზოგადი ხასიათის შენიშვნებს არსებულ ნაშრომთან დაკავშირებით.

ავტორი გამოთქვამს ბევრ თამამ საერთო-ისტორიული ხასიათის მოსაზრებას, რაც შეუძლებელად მიგვაჩნია მხოლოდ განხილული მასალის, კერძოდ კი საქართველოში ქრისტემდე VI-I სს. სამარხების ანალიზის, საფუძველზე. ასეთი დასკვნების გასაკეთებლად აუცილებელია წერილობით ძეგლების (ასურული, ურარტული ბერძნულ-რომაული, სომხური, ქართული...), ლინგვისტური მონაცემების, ფართო ხასიათის არქეოლოგიური – მხედველობაში

\* თუმცა არსებობდა არქეოლოგიის ცენტრში შუა ბრინჯაოს ხანის საპრობლემო ლაბორატორია.

\*\* ოფიციალური საბჭოთა სტანდარტებით გამოყოფილი ფინანსები ნამდვილად ოდნავადაც არ ჰყოფნიდა არც ძეგლის ჯეროვან გათხრა-ფიქსაციას, არც მის გამოქვეყნებას, არც მუშახელის დაქირავებას და არც თავად მეცნიერს საარსებოდ.

\*\*\* ისევე როგორც მთელს საბჭოთა სინამდვილეში

\*\*\*\* ამ შემთხვევაში ჩვენი იდეალია დიდი ივანე ჯავახიშვილისეული დამოკიდებულება მეცნიერისადმი, როგორც მამულიშვილისადმი.

გვაქვს სამარხეულ მონაცემებთან ერთად **ნამოსახლათა და ნაქალაქართა**, შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები.

ასევე სასურველი იყო ავტორი უფრო ღრმად გასცნობოდა ჩვენს არქეოლოგთა და ისტორიკოსთა მიერ ქართულად (არა მხოლოდ რუსული რეზუმეებით) გამოქვეყნებულ ნაშრომებს. მომიზეზება იმისა, რომ იგი არ ფლობს ქართულ ენას, არგუმენტად არ გამოდგება. ბევრი თანამედროვე უცხოელი მეცნიერი, რომელიც მუშაობს საქართველოზე, ფლობს ქართულ ენას სამუშაო დონეზე მაინც, რაც მათ უადვილებს ურთიერთობას არა მხოლოდ უშუალოდ კვლევის ვიწრო სფეროსთან, არამედ საერთოდ ქართულ კულტურასთან. შესაბამიდად მათი დასკვნებიც უფრო მოზომილი, არგუმენტირებული და ღირებულია.

და რაც მთავარია კიდევ ერთი შენიშვნაც და რჩევაც\* – მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საბჭოთა პერიოდში შედიოდა სსრკ-ს შემადგენლობაში, ქართველ მამულიშვილ-მეცნიერთა თავდაუზოგავი შრომისა და მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ქართული საისტორიო სკოლა, რომლის მიღწევების ანგარიშის განევის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ღირებულის შექმნა არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ კავკასიის ისტორიაში. დროა ევროპელმა მეცნიერებმა კავკასია დაინახონ არა რუსული საბჭოთა საისტორიო სკოლის, არამედ საკუთარი თვალით.

პაატა ბუხრაშვილი

---

\*არა მხოლოდ ავტორს, არამედ ყველა უცხოელს მეცნიერს, რომელიც აპირებს ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესწავლას.

Adele Bill

**Studien zu Gräbern des 6. bis 1. Jahrhunderts v. Chr. in Georgien  
unter besonderer Berücksichtigung der Beziehungen  
zu den Steppenfolkern**

Im Kommission bei Dr. Rudolf Habelt GmbH, Bonn 2003, -269 St. 193 Tafeln.

Die Monographie wurde in Bonn (Deutschland) veröffentlicht. Wie die Autorin berichtet handelt es sich um die Publikation ihrer ersten Doktorarbeit, die der georgischen Archäologie in Deutschland gewidmet ist. Die Doktorarbeit wurde unter der Leitung des berühmten Wissenschaftlers Prof. Bernhard Hänsel von der Freien Universität Berlin, Abteilung für Prähistorische Archäologie, durchgeführt.

Bereits seit 1995 wussten wir Bescheid darüber, dass die Doktorantin sich mit dem oben genannten Thema beschäftigen wollte. Mir liegt auch bereits die Übersetzung einer Zusammenfassung ihrer Doktorarbeit vor. Deswegen wage ich auf ihre Doktorarbeit einzugehen und mich zu den strittigen Punkten zu äußern. (In dieser Zeit war ich DAAD Stipendiat unter der Betreuung Prof. Harald Hauptmanns an der Ruprecht-Karls-Universität Heidelberg, wo auch die Doktorantin als Leiterin der Bibliothek arbeitete und jetzt noch arbeitet.)

Bevor wir auf die Doktorarbeit eingehen, wollen wir die Zusammenfassung der Monographie liefern, damit der Leser zu den in Ihrer Doktorarbeit dargestellten Schlussfolgerungen selber Stellung nehmen kann. Das ist nötig für die relativ wenige Publikationszahl der Monographie (Es wurde nur 300 Exemplar gedruckt). Leider, meiner Meinung nach, bleibt sie unzugänglich für den großen Teil der georgischen Wissenschaftler.

Wir führen hier einige weitere Informationen an, um dem Leser von der oben genannten Arbeit eine vollständige Vorstellung vermitteln zu können. Während meines Arbeitsaufenthalts an der Universität Heidelberg, und zwar am Institut für Ur- und Frühgeschichte und der vorderasiatische Archäologie, ist mir die Vielzahl der Bücher, die in der Stadt Ordjonikidze (Jetzt Wladikavkaz) verlegt wurden, sehr aufgefallen. Wie ich es herausgefunden habe, hat diese Bücher ein ursprünglich deutscher, aber in Ordjonikidze geborener Wissenschaftler (Anatoli Nagler) nach Heidelberg gebracht. Dieser Wissenschaftler (ursprünglich Deutscher) zog in der Zeit der „Perestroika“ nach Heidelberg und arbeitete an demselben Institut, wo auch die Autorin von dieser Doktorarbeit Adele Bill arbeitet. Die beide Wissenschaftler über russische Sprachkenntnisse verfügen, haben sie an der Expedition des Deutschen Archäologischen Instituts in Sibirien teilgenommen.

Während meiner Arbeitsaufenthalt in Heidelberg 1995 habe ich eine Diskussion mit Dr. A. Nagler gehabt. Er vertritt die Meinung, dass ein bedeutender Teil der georgischen Kultur bzw. all dies, was wir die georgische Kultur nennen, entweder byzantinisch, griechisch, romanisch oder sarmato-skvitisch ist. Ihm zu Folge stellen z.B. die georgischen Gesänge eine veränderte Form der griechischen kirchlichen Choräle dar; Saurmag ist identisch mit Sarmat; Farnavaz ist ein Iraner u.a. Wir haben gegen seine Meinung einige Gegenargumente eingeführt, z.B. dass die Tatsache des Eintritts der fremden Elemente in die georgische Welt zwar vermutlich ist (genauso wie es in jeder eigenständigen Einheit verkommt), aber dieser Eintritt geschah zu einer Zeit, wo es bereits eine eigenständige und eigenartige kulturelle Einheit gab (bzw. stabile Einheit - Substrat). So könnte es sein, dass viele fremde Elemente in diese kulturelle Einheit eingetreten waren, aber die einheimische Kultur hatte die Fähigkeit, die eingedrungenen Elementen aufzunehmen und dann aufgrund der Filtration mit ihrer eigenen, originalen Form zum Ausdruck zu bringen. Dafür kann man viele gute Beispiele nicht nur von der Geschichte Georgiens, sondern auch von den Geschichten anderer Länder anführen. Leider hatte ich nach diesem Fall keine Möglichkeit mehr, mich mit diesem Wissenschaftler über dieses Thema auseinander zu setzen.

Im Gegensatz dazu habe ich Dr. Adele Bill oftmals getroffen und mit ihr über ihre Doktorarbeit diskutiert. Sie hat zweimal Georgien besucht. Während ihrer Arbeitsaufenthalte in Georgien versuchten wir, ihr bei der wissenschaftlichen Arbeit maximal zu helfen und die Arbeit zu fördern. Sie hat in den georgischen Museen (Staatliches Museum, Museum für Kunst; Museen in Vani und in Kutaisi; an der Expeditionsbasis in Duscheti) viele für sich interessante Materialien gesammelt; hat mit den georgischen Kollegen darüber gesprochen und schließlich ihre Doktorarbeit mit dem Fazit veröffentlicht, dessen Übersetzung bereits vorgelegt ist.

Ich möchte eins besonders betonen: Ich versuchte bei meiner Übersetzung ihrer Doktorarbeit (von Deutsch in Georgisch) ihre kritische Einstellung zu den Forschungen der georgischen Autoren zu bewahren. So kann ich den georgischen Archäologen die Möglichkeit geben, ihrer deutschen Kollegin mit entsprechenden Argumenten zu antworten. Meiner Meinung nach ist es auch wichtig dem Leser mitzuteilen, dass sie während ihre Forschung einige bedauerliche Tatsachen erlebt hat: Sie hat sich z.B. darüber beschwert, dass viele von ihr besuchten Gräber von den georgischen Kollegen nicht sorgfältig erforscht und das Gräberinventar nicht korrekt beschrieben wurde. Die Stratigrafie ist nicht mit dem entsprechenden Niveau gezeigt. Oftmals war auch der Fall, dass die Information zu



verschiedenen Dingen nur mündlich existiert, aber in den Grabungsdokumenten nicht darauf hingewiesen wurde.

Für die Gegenwart, in der Georgien als unabhängiger Staat versucht, sich der Gemeinschaft der Völker der ganzen Welt anzuschließen, müssen wir vieles berücksichtigen. Ich meine damit die Ausgrabungsdokumentation der Denkmäler, die korrekte und vollständige Forschung, Beschreibung und Veröffentlichung der Funde und archäologischen Materialien. Leider entsprach die georgische Archäologie in der Sowjetzeit (besonders in 70er Jahren, als die Krise des Sowjetsystems schon spürbar wurde) weder dem globalen Standard, noch den innerstaatlichen Standards selbst - obwohl in Folge der natürlichen Begabung der georgischen Archäologen und ihrer sorgfältigen und fleißigen Arbeit vieles erreicht wurde. Darunter sind die Fixierung der Denkmäler, die archäologische Ausgrabung, die Beschreibung und die Publikation der Fundmaterialien zu verstehen. Hier muß man auch andeuten, dass der Grund dafür die schlechte und unzureichende Organisation der Arbeitsweisen in der Sowjetunion war. Leider waren bei uns der wissenschaftliche und der universitäre (pädagogische) Bereich voneinander abgegrenzt. Im Vergleich zum Ausland, z.B. zu Deutschland, wo es ein gut entwickeltes Universitätssystem gibt, in dem die pädagogischen, wissenschaftlichen und wirtschaftlichen Gebiete miteinander in engem Zusammenhang stehen, waren in der Sowjetunion die Akademie der Wissenschaft und die Universität voneinander unabhängige Bereiche. Bei uns wurden die archäologischen Denkmäler nicht danach erforscht, ob sie für die aktuelle historische Wissenschaft brauchbar und nützlich wären - z.B. zu Fragen der Mitte der Bronzezeit<sup>1</sup> -, sondern die entscheidende Rolle spielte die Finanzierung der Forschung: z.B. die Finanzierung durch das Verkehrsministerium, durch das Ministerium für Landwirtschaft, durch „Georgien Öl“ durch „Wasserbau“. Ausgehend davon mußte man innerhalb relativ kurzer Zeit und mit begrenzten Finanzen die archäologische Denkmale erforschen<sup>2</sup>. Oftmals war auch der Fall, dass von den nebeneinander liegenden Gräbern nur eines und dieses auch nur teilweise erforscht und untersucht wurde, denn die Finanzierung der Regierung reichte nur für die Forschung zu einem Grab. All dies und viele

<sup>1</sup> Obwohl es ein Forschungslaboratorium der Mittleren Bronzezeit gab.

<sup>2</sup> Die offiziellen Finanzen für die Forschung und die Beobachtung der archäologischen Denkmäler in der Sowjetzeit reichten nicht für die sorgfältige und ausführliche Ausgrabungsdokumentation, für ihre Veröffentlichung, für die Arbeitskräfte (Bezahlung) und sogar nicht für die Existenz eines Wissenschaftlers.

andere Störfaktoren bestimmten das Niveau der Archäologie als Wissenschaft. Schließlich, außer einiger formaler Erfolge<sup>3</sup>, entstand eine qualitative Krise, die die moderne georgische Archäologie sehr beeinträchtigt hat. Heutzutage, wenn sich unsere europäischen Kollegen mit unser Region beschäftigen, bemerken sie diese negative Situation in der Archäologie. Es kann davon ausgegangen werden, dass die Ursache für viele falsche Konsequenzen, die unsere europäischen Kollegen gezogen haben, in der negativen Situation in den Arbeitsweisen der georgische Archäologie liegt. Aber heutzutage ist jeder georgische Wissenschaftler<sup>4</sup> verpflichtet, diese negative Situation zu neutralisieren und die Arbeitsbedingungen zu verbessern.

Was unsere allgemeinen Bemerkungen bezüglich der oben genannten Doktorarbeit betrifft:

Die Autorin macht viele kühnliche historische Äußerungen, was wir nicht üblich finden aufgrund nur oben besprochenen Materialien und zwar aufgrund der Studien von den Gräbern des 6. bis 1. Jahrhundert vor Christ. in Georgien.

Für die korrekte Schlussfolgerung ist sehr nützlich und brauchbar, ja sogar notwendig, die schriftlichen (assyrischen, urartäischen, griechischen, römischen, armenischen und georgischen) Quellen sowie linguistische und ethnologische Forschungen zu kennen, also all dies zu betrachten, was nach der Ausgrabung und Erforschung der Siedlungen und Stadtruinen einschließlich Fundmaterialien der Gräber entdeckt wurde. Es wäre auch vernünftig, dass die Autorin die Forschungen und die Artikel der georgischen Archäologen und Historiker (bes. I. Javachischwili, S. Janaschia, N. Bedzenischwili, G. Melikischwili...) zur Kenntnis nehmen würde, die nicht nur auf russischen Quellen und Zusammenfassungen beruhen. Es ist auch kein gutes Argument, dass sie nicht über georgische Sprachkenntnisse verfügt. Viele moderne Wissenschaftler, die in Georgien arbeiten, beherrschen die georgische Sprache mehr oder weniger - auf jeden Fall auf einem bestimmten Arbeitsniveau. Die georgischen Sprachkenntnisse erleichtern ihnen nicht nur die Forschung in einem bestimmten Bereich, sondern sie können mit der georgischen Kultur insgesamt besser umgehen. Dementsprechend sind ihre Beobachtungen sorgfältig, wertvoll und argumentativ.

<sup>3</sup> So, wie es in der Wirklichkeit der Sowjetunion der Fall war.

<sup>4</sup> In diesem Fall ist der Ausgangspunkt die Einstellung des großen georgischen Wissenschaftlers Iwane Jawachischwili.

Hier noch ein Hinweis und gleichzeitig ein Tipp<sup>5</sup>: Obwohl Georgien eine Bestandsrepublik der Sowjetunion war, entstand hier, aufgrund der erfolgreichen Tätigkeit der georgischen Wissenschaftler, eine historische Schule. Ohne ihre Erkenntnisse zu berücksichtigen ist unmöglich, etwas Wertvolles in Georgien und überhaupt im Kaukasus zu schaffen. Es ist die Zeit gekommen, dass die europäischen Wissenschaftler den Kaukasus mit ihren eigenen Augen betrachten müssen, und nicht mehr aus dem Sicht der russischen historischen Schule.

*Dr. Paata Buchraschwili*

---

<sup>5</sup> nicht nur für die Autorin dieser Doktorarbeit, sondern für alle Wissenschaftler, die vorhaben, sich mit der georgischen Kultur und Sprache zu beschäftigen.